

04/07/2025



MES 3 25 0000817177

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 20 ივნისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

გოგიტა მშვენიაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

სოფიკო ბეჭირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მაია ომიაძე;
- მანანა მახარაშვილი;
- მაია თოიძე;
- სალომე გოგიაშვილი;
- დემიდ ფასიშვილი;
- დიანა გახარია;
- დავით კუპატაძე;
- ნანა მონიავა;
- ვალერი ჯაჯანიძე;
- ირმა ღარიბაშვილი;
- ალექსანდრე კეკენაძე;
- მიხეილ ხუციშვილი;
- ხათუნა ფარეიშვილი;
- ქეთევან ღვანიძე;
- გიული გურგენიძე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი"

ელენე გვეტაძე - დირექტორი

ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

ანა ჯავახიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით

რუსუდან ბაბაკიშვილი - დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში

შპს სქილვილი

კონსტანტინე შუბითიძე - აკადემიური დირექტორი;

ნინო მელიქიძე - ადმინისტრაციული დირექტორი;

მარიამ მსხალაია - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი;

სოფიკო დეკანოზიშვილი - დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

სსიპ - კოლეჯი "მოდუსი"

ნინო ქავთარაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

დიანა გოშაძე - დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში

სალომე მაყაშვილი - მარნეულის ლოკაციის მენეჯერი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი

1. შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს სქილვილის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯის "მოდუსი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია ოშიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 31 მარტის №358616 ბრძანებით ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის მიერ, დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.დ), გ) ქვეპუნქტის გ.ა), დ) ქვეპუნქტის დ.ა) და ე) ქვეპუნქტის ე.ბ) კომპონენტების შემოწმება არაგეგმიური მონიტორინგის გზით, 2025 წლის 16 აპრილს. მონიტორინგის საფუძველი გახლდათ პროფესიული სტუდენტის, ე.მ.-ს საჩივარი, კოლეჯის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის, არაკვალიფიციური კადრების დასაქმების, სასწავლო პროცესის არაორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაძლო დარღვევების იდენტიფიცირება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა საჩივრის ავტორის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში- „სამინისტრო“) პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ კოლეჯისაგან გამოთხოვილი კორესპონდენცია, ასევე სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისაგან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - „ცენტრი“) გაგზავნილი 2025 წლის 14 თებერვლის N151552 წერილი, რაც გულისხმობდა ცენტრის მიერ უმოკლეს ვადაში საკუთარი პოზიციის ცნობებას კორესპონდენციებში იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებით. ცენტრის 2025 წლის 5 მარტის N239494 რეაგირების წერილი, სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციის საფუძველზე, შპს „თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში“ არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზანშეწონილობისა და კორესპონდენციის შინაარსის შესაბამისად, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების შესრულების პირობების დაცვის შესწავლის შესახებ, ასევე შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ თანამშრომელთა ახსნა-განმარტებითი ბარათები და კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულმა სტუდენტმა, ე.მ.-მ 2025 წლის 16 იანვარს კოლეჯს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულის სწავლის შედეგების აღიარებისა და სპეციალური კომისიის მიერ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის (უმაღლესი სამედიცინო უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომი თავისი დანართით, დიპლომის აღიარების დოკუმენტი, ბაკალავრის დიპლომი ფსიქოლოგიაში თავისი დანართით; მაგისტრის დიპლომი ფსიქოლოგიაში თავისი დანართით, საკანდიდატო მინიმუმების კრებისთი უწყისი) განხილვა/შეფასების თაობაზე. კოლეჯმა „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული

სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული ფორმალური განათლების აღიარების პროცედურის დაცვით, შეისწავლა აღნიშნული განცხადების (N03/04, 16.01.2025) შინაარსი და 2025 წლის 17 იანვარს დაწესებულების ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ე.მ.-გან მოითხოვა შპს თბილისის საერო სამედიცინო ინსტიტუტის „ცოდნა“ მიერ 1998 წელს გაცემული დიპლომის დანართში მითითებული მსგავსი საგნების რელევანტურ პერიოდში/წლებში მოქმედი სილაბუსების გონივრულ ვადაში წარმოდგენა, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 დეკემბრის N01/101 ბრძანებით „პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული/დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარების შესახებ“ შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის შემდგომი საქმიანობისა და ფორმალური განათლების აღიარების ადმინისტრირების მიზნით. თუმცა, პროფესიულმა სტუდენტმა, ე.მ - მ კოლეჯის საპასუხო წერილის შემდგომ, საკუთარი უფლებების შესაძლო დარღვევის მოკვლევის მიზნით, 2025 წლის 20 იანვარს მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს და ითხოვა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის ექსტრაკურთულებურ აქტივობებსა და ქვეყნაში მიმდინარე სააქციო პროცესებში იძულებით ჩართვასთან დაკავშირებით.

დაწესებულებამ აგრეთვე წარმოადგინა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 10 მარტის N258256 საჩივრის ავტორის საპასუხო წერილი, რომლითაც იკითხება, რომ ცენტრმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოიძია მის არქივში დაცული თბილისის საერო სამედიცინო ინსტიტუტ „ცოდნას“ საარქივო მასალები, მოძიებულ იქნა სახელმწიფო - საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელზეც არ არის მითითებული კონკრეტული პროგრამის დასახელება.

კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაცია ფორმალური განათლების აღიარების თაობაზე მოიცავს ძირითად პროცესუალურ აღწერას, ხოლო მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული კოლეჯია მიერ დადგენილი წესით, რეგულირდება „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით, რაც გულისხმობს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 1 თვიან ვადას, ხოლო დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენას არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადაში. კოლეჯმა, მიუხედავად აღნიშნული პერიოდისა, პროფესიულ სტუდენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სატელეფონო საუბრებისა და ზეპირსიტყვიერი კონსულტაციების შედეგად არაერთხელ მოითხოვა შპს თბილისის საერო სამედიცინო ინსტიტუტის „ცოდნა“ მიერ 1998 წელს გაცემული დიპლომის დანართში მითითებული მსგავსი საგნების რელევანტურ პერიოდში/წლებში მოქმედი სილაბუსების წარმოდგენა და ამასთან, სოციალურ ქსელში არსებული „ჩათით“ მოუწოდა პროფესიულ სტუდენტს მონაწილეობა მიეღო განმეორებით შეფასებაზე.

კოლეჯმა, ექსპერტთა ჯგუფს აგრეთვე წარუდგინა, ე.მ.-ს 2024 წლის 18 მარტის N03/73 განცხადებაზე გაცემული წერილობით პასუხი (N04/55, 24.03.2025), რომლითაც კიდევ ერთხელ განემარტა პროფესიულ სტუდენტს, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ აძლევს სასწავლებელს შესაძლებლობას დაადგინოს შინაარსობრივი თავსებადობა სილაბუსების წარმოუდგენლობის გამო. ამასთან, კოლეჯი გამოხატავს მუდმივ მზაობას პროფესიულ სტუდენტებთან თანამშრომლობასა და მხარდაჭერაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი მასალები, რითაც დასტურდება, რომ კოლეჯმა უზრუნველყო პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა, აწარმოა შესაბამისი კონსულტაციები და მისცა დეტალური განმარტება ფორმალური განათლების აღიარების პროცედურებთან დაკავშირებით, როგორც ზეპირსიტყვიერი, ასევე, წერილობითი ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფი აგრეთვე გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც უარყვეს წერილში დაფიქსირებული ბულინგისა და პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტი. მათი განმარტებით, პროფესიულ სტუდენტებსა და მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, თითოეული მოდულის ფარგლებში სასწავლო მასალისა და ინფორმაციის გაზიარებისათვის აქვთ სოციალურ ქსელში არსებული „საკომუნიკაციო ჩათები“, სადაც არამიზანმიმართულად დაფიქსირებული ინფორმაცია ეხებოდა დასწრების აღრიცხვის ფორმას, პროფესიული სტუდენტის სახელის, გვარისა და დასწრებისა და გამოუცხადებლობის აღმნიშვნელ ნიშნებს.

პროფესიულმა სტუდენტებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ კოლეჯში ექსტრაკურიკულური აქტივობების ფარგლებში მიმდინარეობს კოლეჯისა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული პროექტი, „მოწყვლადი ქალებისა და სტუდენტების გაძლიერება სამოქალაქო უფლებებისა და ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სისტემებზე“, რომელშიც მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია და ადგილი არ ჰქონია იძულებით ჩართვას, მათ შორის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გარე მობილობით სარგებლობის გამო, შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2025 წლის 1-ლი აპრილის N02/17 ბრძანების თანხმად შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და ვიზიტის პერიოდისათვის მასთან გასაუბრება აღარ განხორციელებულა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემული სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

3.1.1.1. ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია იმსჯელოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“, „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მექანიზმებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის, პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ერთ მესამედზე მეტის გაცდენისა (საპატიო, არასაპატიო) და სწავლის საფასურის დადგენილ/შეთანხმებულ ვადებში გადაუხდელობის გამო, პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას. „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დაზუსტდეს ფინანსური დავალიანების არსებობის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოება იმ პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებიც არ ფინანსდებიან „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების შესაბამისად ან დამატებით შეფასებაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული მოდულის ღირებულის გადაუდებლობის გამო.

კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დეტალურად გაწეროს ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები განცხადების შესაძლო მიმართვიანობის ვადების, ადმინისტრაციული წარმოების ვადისა და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის პერიოდების გათვალისწინებით.

კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით, გაიწეროს წინმსწრებ და შემდგომოდულებს შორის განმეორებითი შეფასების მიმართვიანობის ვადები სასწავლო გეგმის შესაბამისად.

4.1.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაზუსტდეს და შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან შრომის შინაგანაწესითა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო დღეები და საათები. ამასთან, დაცვის თანამშრომელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში სწორად გაიწეროს სამუშაოს დაწყებისა და დასრულების საათები, საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

4.1.2.3. ინდიკატორთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან მიმართებით, მათ შორის, აკადემური განათლების, დასაქმების, უნარ-ჩვევების, საოფისე პროგრამების ცოდნისა და უცხო ენის ფლობის კომპონენტში.

5.2.1.2. ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია - სასურველია, პსდ-ს ფუნდამენტური პროცესების შეფერხების გარეშე ან/და უწყვეტ რეჟიმში წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს IT რისკების მართვის გეგმა, განისაზღვროს დაწესებულებაში არსებული კრიტიკული ინფორმაციის სახეები, მათთან დაკავშირებული კონკრეტული საფრთხეები, რისკები მათი პრევენციული და აღმოფხვრის ღონისძიებები, ვადები.

5.2.1.3. ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პსდ-ს ვებ-საიტზე, საგანმანათლებლო პროგრამებზე წინასწარი რეგისტრაციის გვერდზე, დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციისა და თანხმობის დილაკის განთავსება.

5.2.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პირად საქმეებში უზრუნველყოს პერსონალთან/პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებების ასლების/ამონაწერების განთავსება. პირადი საქმეების სრულყოფილად კომპლექტაციისა და წარმოების წესების დაცვის მიზნით, სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს მათი აღრიცხვა, საქმესთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებების განთავსება, ამასთან სასურველია პირად საქმეებს ჰქონდეს ანაწერი, სადაც აღირიცხება საქმეში განთავსებული დოკუმენტები, მათი საქმეში განთავსების/ამოღების თარიღების მითითებით. პსდ-ში არსებულ საქმეების/დოკუმენტების სისტემატიზაციისა და დოკუმენტაციის შენახვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანებით "დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ" განსაზღვრული შენახვის ვადების გათვალისწინებით, შეიმუშაოს პსდ-ს საქმეთა ნომენკლატურა.

5.2.2.2 ინდიკატორთან დაკავშირებით პსდ-ს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია: დოკუმენტბრუნვის სანდოობისა და ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონულ სისტემაში ყველა ტიპის შემოსული დოკუმენტაციის, მათ შორის განცხადებების ატვირთვა.

5.2.2.3. ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული ვადები პროფესიული სტუდენტის ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის No11/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესსა და პირობებთან.

5.2.3.1. ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დაინტერესებული მხარეებისთვის პსდ-ს საქმიანობის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიშები, დასაქმების სტატისტიკა განთავსებული იყოს დაწესებულების ძირითად ვებ გვერდზე.

2.4.2.1. ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, პსდ-მ უზრუნველყოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ პუნქტებს შორის ლოგიკური/შინაარსობრივი კავშირები.

2.4.2.2. ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურობის შეფასების მიზნით, სასურველია უზრუნველყოს ვერიფიკაციის თითოეული ეტაპის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის დოკუმენტირება.

კოლეჯმა გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები

პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია, შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის No01/61 ბრძანებით დამტკიცებული შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი” განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” მე-12 მუხლი განსაზღვრავს საორიენტაციო შეხვედრების ადმინისტრირების წესს, რომლის თანახმად, დაინტერესებულ პირებთან/პოტენციურ და პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია, სასწავლებლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის ფორმალური განათლების აღიარების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და მათი მოვალეობების, სასწავლო გარემოს, სასწავლო პროცესის, სასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის, პროფესიული სტუდენტის უფლებების და ვალდებულებების, სასწავლებელში მოქმედი შეფასების სისტემისა და სხვა მათთვის აქტუალურ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 26-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების აპელაციის განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. შეფასების შედეგების გაცნობას უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტი ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით/პროფესიული სტუდენტის პირად ელექტრონულ ფოსტის მისამართზე გაგზავნის გზით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტთა ჯგუფმა რენდომული წესით შეამოწმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, მათ შორის სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და გარე მობილობის გზით გადმოსული პროფესიული სტუდენტის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებთან. ამასთან, არასრულწლოვან პირებთან სამართლებრივად დაცულია სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა. ხოლო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” მე-16 მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესს, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

ხდება, როდესაც: პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან შეთანხმებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტზე (შემდგომში „სსსმ სტუდენტი“) დაკვირვების საფუძველზე ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას, სსსმ პროფესიული სტუდენტი ვერ აღწევს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სასწავლებლის პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის, პირს პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტი ვადით და სასწავლო პროცესში ჩართვისთვის განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა, პირი საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდა სასწავლო პროცესს ერთ თვეზე მეტი ვადის განმავლობაში და სასწავლო პროცესში ჩართვისთვის დგას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება, პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში დამდგარია შეცვლილ/სხვა პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საჭიროება.

ადამიანური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას, კოლეჯის დებულების მიხედვით, კოლეჯის მართვის ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი. კოლეჯს დამტკიცებული აქვს სამტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სამტატო პოზიციები და ერთეულები, ხოლო სტრუქტურა საჯაროდ განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. სასწავლებლის ადამიანურ რესურსს წარმოადგენს ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები, შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს ხარისხის მართვის - „დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება- გადახედვა/გაუმჯობესება“ ციკლის უწყვეტობას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას, სასწავლებლის თვითშეფასების განხორციელების მიზნით, შესაბამისი პროცესების ხელმძღვანელობასა და განაცხადების წარდგენისთვის მომზადების პროცესის კოორდინაციას, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა შესახებ პერსონალის კონსულტირებას შესაბამის საკითხებში, სასწავლებლის ძირითადი და დამხმარე პროცესების ეფექტურად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით, შესაბამისი რეგულაციების, ინსტრუქციების, ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების შემუშავების ინიცირებას/ხელმძღვანელობას/კოორდინირებას. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას, კოლეჯის პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის, შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს სასწავლებლის პერსონალის - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესსა და პროცედურას, პერსონალის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, მართვის პროცესებს, ასევე პერსონალის სამუშაოს შეფასებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა თანმდევ საკითხებს, ამ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რაც დასაწყისშიც აღინიშნა. შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების შემდეგი გზები: ვაკანსიების განთავსება სასწავლებლისა და სხვა ვებ-გვერდებზე, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი კატეგორიის განცხადებების საძიებო მიზნებისათვის და/ან სოციალურ ქსელებში; სასწავლებელში დასაქმებული პერსონალის პირადი კონტაქტების გამოყენება. სასწავლებელში ახალი თანამშრომლის შერჩევის პროცესი ტარდება საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლებელში მოქმედი რეგულაციების

შესაბამისად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, თანასწორობის, პროფესიონალიზმისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, საშტატო განრიგი, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები და დადასტურდა მათი კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა. პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის შესაბამისად. კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის წესი, რაც გულისხმობს სამუშაო პროცესებში ახალი თანამშრომლის სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, ახალი თანამშრომელისთვის ყველა იმ ინფორმაციის მკაფიოდ გაცნობას, რომელიც აუცილებელია სასწავლებელში თანამშრომლის მარტივი ინტეგრაციისთვის.

საინფორმაციო რესურსი

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - პსდ აღჭურვილია სათანადო, ექსპერტის განცხადებით, პარამეტრების შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით (კომპიუტერები, პრინტერები ასლის გადაღების ფუნქციით და სხვა პერიფერიული მოწყობილობები, ასევე მონიტორები). საერთო ჯამში ფლობს 53 კომპიუტერს, საიდანაც: 40 გამოყენებულია სასწავლო მიზნებისთვის, მ.შ. 23 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ კლასში. 13 კომპიუტერი განკუთვნილია ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერული ტექნიკის პარამეტრები და პროგრამული უზრუნველყოფა პსდს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შესაბამისია. კომპიუტერებში ჩატვირთულია სასწავლო ადმინისტრაციული პროცესებისთვის საჭირო ე.წ. საოფისე პროგრამების პაკეტი. თეორიული კომპონენტის შეფასების პროცედურა უზრუნველყოფილია სპეციალური პლატფორმით <https://testmoz.com>. პსდ-ს შენობაში ხელმისაწვდომია „უკაბელო“ ინტერნეტი (სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება 30.10.2019). პსდ-ში უზრუნველყოფილია ვიდეო მონიტორინგის სისტემა. IT ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის უზრუნველყოფის მიზნით პსდ-ში გამოყოფილია IT სპეციალისტის პოზიცია, აყვანილია შესაბამისი კომპეტენციის პირი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. შეფასების პლატფორმის ეფექტური გამოყენების მიზნით, განსაზღვრულია საგამოცდო ტესტების ორგანიზების სპეციალისტის საშტატო ერთეული, გაფორმებულია მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შესაბამისი კომპეტენციის პირთან. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას - პსდ-ს შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას - შემუშავებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“ დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების სუბიექტები, მონაცემთა სახეები, დამუშავების პრინციპები, მიზნები, შენახვისა და უსაფრთხოების პირობები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები. დაწესებულების პრაქტიკით, პერსონალთან, პროფესიული სტუდენტებთან/მსმენელებთან ან/და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან წინასწარ ფორმდება შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ვიდეო/აუდიო მონიტორინგის განხორციელების შესახებ. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც პერსონალისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის. IT ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის უზრუნველყოფის მიზნით პსდ-ში გამოყოფილია IT სპეციალისტის პოზიცია, აყვანილია შესაბამისი კომპეტენციის პირი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით, რაც რეგულირდება პსდ

„საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესით“ (მუხლი 3. პ.4) პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას უზრუნველყოფს სატელეფონო კავშირის, პსდ-ს ვებ-გვერდის, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, დაწესებულების ღია სივრცეში საინფორმაციო დაფაზე ინფორმაციის გამოქვეყნების, პირდაპირი კომუნიკაციის გზით შეხვედრების ფორმატის საშუალებით, სადაც დამსწრე საზოგადოებას წარედგინება ინფორმაცია/პრეზენტაციები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე და განიხილება პრიორიტეტული თემები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ჰქონდა თუ არა მას ან ექსპერტთა ჯგუფს კომუნიკაცია იმ სტუდენტებთან, რომლებთანაც განხორციელდა ფორმალური განათლების აღიარების პროცედურა, და დაფიქსირებულა თუ არა ანალოგიური შემთხვევები, რაც განხილულ საკითხში გამოიკვეთა. მისი განმარტებით, მოცემული დაწესებულება ხანგრძლივი საქმიანობით და პრაქტიკული გამოცდილებით გამოირჩევა, რის გამოც საინტერესო იყო, დაფიქსირებულა თუ არა მსგავსი პრობლემები სხვა სტუდენტებთან.

ექსპერტის განმარტებით, გარე მობილობის ფარგლებში დადასტურდა, რომ განხორციელებული აღიარების პროცედურები სრულ შესაბამისობაში იყო მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი ხასიათის სხვა შემთხვევა არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება კონკრეტული საჩივრის ავტორს, ვიზიტის დროისთვის მას კოლეჯთან აქტიური სტატუსი უკვე შეწყვეტილი ჰქონდა და შესაბამისად, უშუალო გასაუბრება ვერ შედგა.

შემდგომი შეკითხვა შეეხებოდა კადრების შერჩევისას გამოყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ, ინდიკატორს 4.1.2.3 – სადაც, თავმჯდომარის თქმით, მოთხოვნები ბუნდოვნად და ზოგადად იყო ფორმულირებული. მისივე თქმით, გაურკვეველი იყო, იყო თუ არა ისინი ინდივიდუალურად მორგებული კანდიდატებზე და ასახული პირად საქმეებში.

ექსპერტის განმარტებით, თავდაპირველად გარკვეული გაუგებრობა არსებობდა კომპეტენციების მოთხოვნების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით უცხო ენასთან (ინგლისურთან) მიმართებით. თუმცა განმარტებების მიღების შემდეგ, კვლავ შემოწმდა პერსონალური დოკუმენტაცია და დადასტურდა, რომ შერჩეულ პირებს გააჩნდათ მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. მიუხედავად ამისა, ექსპერტის თქმით, დოკუმენტების ფორმულირება რთულად აღსაქმელი იყო როგორც ვიზუალურად, ასევე შინაარსობრივად. დაწესებულება თავად მიიჩნევდა ამ მიდგომას თანამედროვე და ეფექტურ „ნო ჰაუ“-დ, თუმცა დამატებითი განმარტებების გარეშე მათი შეფასება გამწვანებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა დამატებითი შეკითხვა შრომითი ხელშეკრულების და შინაგანაწესის თანხვედრობასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაკვირვება შეეხებოდა სამუშაო საათების განსაზღვრას – შაბათის ჩართვის საკითხს – და შესაძლო აცდენას შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ექსპერტის განმარტებით, ორივე დოკუმენტი – როგორც შრომითი ხელშეკრულება, ისე შინაგანაწესი – საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. განსხვავება ტექნიკური ხასიათის იყო და დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ერთ შემთხვევაში სამუშაო საათები გათვლილი იყო 5-დღიანი რეჟიმის შესაბამისად, ხოლო მეორეში – 6-დღიანის ფარგლებში. ორივე ვარიანტში კვირის ჯამური დატვირთვა შეადგენდა 40 საათს. საჭიროების შემთხვევაში

დოკუმენტებში ასევე გათვალისწინებული იყო შაბათის სამუშაო დღედ განსაზღვრის შესაძლებლობა, თუმცა დაწესებულებაში ზოგადი პრაქტიკა 5-დღიან სამუშაო კვირას ეფუძნებოდა.

საბჭოს წევრმა ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ საჩივრის შინაარსი ემოციური ტონით იყო გაჟღენთილი, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ავტორი გაღიზიანებული დამოკიდებულებით წერდა წერილს. მისი თქმით, კითხვებს ბადებდა ის ფაქტი, რომ სტუდენტი, რომლის საჩივარიც სწავლების დაწყებიდან მოკლე პერიოდში იქნა წარდგენილი, მოითხოვდა ფორმალური განათლების აღიარების უპირობო საფუძვლად მხოლოდ საგნის დასახელების წარმოდგენას. საბჭოს წევრმა დააყენა კითხვა, ხომ არ არსებობდა დაწესებულებასთან კომუნიკაციის მანკიერი გამოცდილება ან რაიმე პირობა, რის დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია სტუდენტის მიერ სამინისტროსთან პირდაპირი მიმართვა.

საკითხზე დეტალური განმარტება გააკეთა პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი თქმით, ვიზიტის დროისთვის სტუდენტს შეწყვეტილი ჰქონდა სტატუსი, თუმცა მასთან შეხვედრა შედგა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სივრცეში – მას შემდეგ, რაც ცენტრს სამინისტროდან საჩივარი გადაეცა დოკუმენტაციის თანდართვით.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, სტუდენტს კარგად ესმოდა დადგენილი ნორმატიული რეგულაციები და თან ჰქონდა ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, მათ შორის ფორმალური განათლების აღიარების წესიც. თუმცა, სტუდენტი კატეგორიულად აპროტესტებდა იმ მოთხოვნებს, რაც დადგენილია რეგულაციით – კერძოდ, რომ საგნის აღიარებისთვის აუცილებელია დოკუმენტურად არსებობდეს ან დიპლომი, ან პროგრამის შედეგების, თემატიკის, ან სილაბუსის შესაბამისი აღწერა. განმცხადებელი წერდა და აცხადებდა, რომ საგნის დასახელება თავისთავად საკმარისია აღიარებისთვის, რაც კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუთავსებელია. დაწესებულებას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი მისთვის ამ დოკუმენტების გარეშე კრედიტების ჩათვლისთვის.

დასასრულ, ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას და თავად განმცხადებელსაც ცენტრმა შესთავაზა ყველა შესაძლო ალტერნატიული გზა, მათ შორის გაუქმებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინფორმაციის მოძიება. თუმცა, თავად სტუდენტი უარს აცხადებდა ამ გზით სარგებლობაზე, რადგან პრინციპულად არ ეთანხმებოდა არსებულ ნორმებს და ითხოვდა უპირობო აღიარებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის პროფესიული განათლების რეგულაციებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შპს "თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში" (ს/კ:202056764) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებული მონიტორინგის დასრულებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელში" (ს/კ:202056764) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეორე საკითხი: შპს სქილვილის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია თოიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სქილვილში ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 04 აპრილის №375985 ბრძანების (ცვლილება- №403332; 11.04.2025) შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: მაია თოიძე (ჯგუფის თავმჯდომარე) და წევრები: სალომე გოგიაშვილი (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და დემიდ ფასიეშვილი (დარგის ექსპერტი), განახორციელა შპს „სქილვილი“ - ს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი (მის: ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა, N129) განხორციელდა 2025 წლის 28, 29 და 30 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფის წევრი სალომე გოგიაშვილი ვიზიტზე იმყოფებოდა 2025 წლის 28 და 29 აპრილს და შესაბამისად მონაწილეობა

მიიღო I, III, IV და V სტანდარტების შეფასებაში. დარგის ექსპერტმა დაწესებულება შეაფასა მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ 2025 წლის 11 მარტისა და 14 მარტის კორესპონდენციებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი თვითშეფასება და თანდართული მტკიცებულებები. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების დამფუძნებელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან. ინტერვიუთა ნაწილი განხორციელდა დისტანციური საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცემდა უკუკავშირის ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა. ექსპერტთა საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობისა (III ნაწილი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის (X ნაწილი) ცხრილების სახით. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემული სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1 (3) - დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამისამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულებამ განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ექსპერტთა რეკომენდაცია: სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის ანალიზისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად იკვეთება, რომ დაწესებულება სტრატეგიული მიზნების ფორმულირებისას მნიშვნელოვნად დაეყრდნო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. ამ მიდგომამ საგრძნობლად შეზღუდა სტრატეგიული გეგმის შინაარსი, რის შედეგადაც დოკუმენტში ვერ აისახა ორგანიზაციის ფართო ხედვა, მისწრაფებები და უნიკალური, პრაქტიკაში უკვე დანერგილი ინოვაციური ელემენტები. მაგალითად: სტრატეგიაში არ არის ასახული ორგანიზაციის მიერ გაცხადებული მიზანი — სტუდენტებისა და მსმენელების რბილი უნარების (soft skills) განვითარება, რაც ინტერვიუების დროს დასახელდა სტრატეგიულ პრიორიტეტად ან კიდევ, ორგანიზაციას პროფესიული მომზადების პროგრამებში უკვე დანერგილი აქვს მენტორინგის სისტემა (მათ შორის, ინდივიდუალური) და გეგმავს ამ პრაქტიკის გავრცელებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეც, აღნიშნული მიდგომა სტრატეგიულ გეგმაში არ არის ასახული. დოკუმენტებში ასევე არ იკითხება დაწესებულების გეგმები მომზადება/გადამზადების პროგრამებთან მიმართებით (ფორმალური და არაფორმალური) რაც გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. ეს გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებას შესაძლოა აკლდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენის მზადყოფნა ან ნდობა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მიდგომები რეალურად პრაქტიკაში აქვს დანერგილი და ეფექტურად მუშაობს.

რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გააფართოოს სტრატეგიული მიზნების ფორმულირების ჩარჩოები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებზე ორიენტირების პარალელურად სტრატეგიულ გეგმაში სრულად ასახოს:

- დაწესებულების ფართო ხედვა, ეს დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს უკეთ გაეცნონ ორგანიზაციის

რეალურ მიზნებსა და მისწრაფებებს;

- ინოვაციური პრაქტიკები და მექანიზმები, რომლებიც უკვე დანერგილია ან დაგეგმილია, მაგალითად,

მენტორინგის სისტემის გაფართოება და რბილი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები;

- მიზნები, რომლებიც აღემატება ავტორიზაციის მინიმალურ მოთხოვნებს, რაც ხაზს გაუსვამს დაწესებულების

განსხვავებულობას, მისწრაფებას ხარისხიანი, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული განათლებისკენ.

ექსპერტთა რეკომენდაცია: დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ცალკეული ამოცანებისა თუ აქტივობებზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია მრავალი პასუხისმგებელი პირი (ზოგჯერ კი 3 სუბიექტიც).

სტრატეგიული დაგეგმარებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს: პასუხისმგებლობის გამჭვირვალობა და კონტროლი; შეფასების და მონიტორინგის სიმარტივე; ლიდერობის განვითარების შესაძლებლობა და თანამშრომლის მოტივაცია; გუნდური თანამშრომლობის გაუმჯობესება. ეფექტური მენეჯმენტისთვის აუცილებელია ერთმნიშვნელოვნად ვიცოდეთ, ვინ არის პასუხისმგებელი თითოეულ ამოცანაზე/აქტივობაზე. ეს ამცირებს გაურკვევლობებს, ხელს უწყობს დროის ეფექტიან

გამოყენებას. ერთ პირზე პასუხისმგებლობის მინიჭება ამარტივებს პროცესების შეფასებასა და შედეგების ანალიზს. კონკრეტული პირის პასუხისმგებლად განსაზღვრა ქმნის ლიდერობის შესაძლებლობებსა და ზრდის მოტივაციას. პასუხისმგებელი პირი იღებს ინიციატივას, კოორდინაციას უწევს სხვებს და იზრდება პროფესიულად. დანარჩენი პირების შემსრულებლად ან ჩართულად განსაზღვრა კი ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, პროცესების დელეგირებას.

რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და თითოეულ ამოცანასა თუ აქტივობაზე განისაზღვროს ერთი პასუხისმგებელი პირი, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები იყოს მითითებული როგორც შემსრულებლები ან/და ჩართული პირები.

ექსპერტთა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში ზოგიერთი აქტივობა არ ემყარება გაზომვად შედეგებს. როგორიცაა რაოდენობრივი მაჩვენებლები (მაგ. 4.1. რეკომენდებულია მითითებული იყოს ტრენინგში ჩართულ მასწავლებელთა მინიმალურიოდენობა).

რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შედეგების გაზომვადობა. გადაიხედოს სამოქმედო გეგმა და თითოეულ ამოცანის/ აქტივობისთვის განისაზღვროს მეტად გაზომვადი ინდიკატორები.

4.1.1 (1) - პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ექსპერტთა რეკომენდაცია: ორგანიზაციული მოწყობის საკითხები დაწესებულებას დარეგულირებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი: „შპს სქილვილის დებულება“, „ შპს სქილვილის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები“ და „შპს სქილვილის პერსონალის

სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. აღნიშნული დოკუმენტების ფარგლებში ადგილი აქვს დუბლირებას. კერძოდ, ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია განსაზღვრულია „შპს სქილვილის დებულებითაც“ და „შპს სქილვილის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებითაც“. პოზიციათა ფუნქცია - მოვალეობები კი ცალკეულ შემთხვევაში გვხვდება სამთავე დოკუმენტში.

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ორგანიზაციულ მოწყობასთან დაკავშირებით აღმოფხვრას დუბლირება. დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია, რომ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, ასევე თანამშრომელთა ფუნქციები, მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები განისაზღვროს ერთიან დოკუმენტში. თუ არსებობს დამატებითი დოკუმენტები, მათში მხოლოდ უნდა გაკეთდეს მითითება ან ბმული ძირითად დოკუმენტზე, სადაც მოცემულია აღნიშნული საკითხების სრული აღწერა. ეს უზრუნველყოფს სტრუქტურის გამჭვირვალობას, ეფექტურობასა და დოკუმენტების თანხვედრას.

2. დაწესებულებას სტრუქტურით გათვალისწინებული აქვს სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში ერთი პერსონალითაა წარმოდგენილი. აღნიშნული არ წარმოადგენს დარღვევას. მსგავსი პრაქტიკა გავრცელებულია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც: სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს სპეციფიკური ან დარგობრივი ფუნქციის შესრულებას, რაც არ საჭიროებს მრავალ თანამშრომელს ან/და ორგანიზაცია არის მცირე ზომის ან ეკონომიური რესურსების ფარგლებში ოპერირებს ან/და პოზიციის ფუნქცია არის კონკრეტული მიმართულებით საქმიანობის კოორდინაცია ან გარკვეული ტიპის ექსპერტიზა, რომელსაც მხოლოდ ერთი პირი ასრულებს და სხვ.

დაწესებულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი იზიარებენ რეკომენდაციას ფუნქცია- მოვალეობებთან დაკავშირებით დუბლირებული დოკუმენტების არსებობის თაობაზე და გეგმავენ მათ გადახედვას, შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია პარალელურად კიდევ ერთხელ გაანალიზოს საკითხი ორგანიზაციულ მოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ ცალკეულ შემთხვევაში სტრუქტურული ერთეულის არსებობის საჭიროების ან არსებულ სტრუქტურულ ერთეულში პერსონალის საკმარისობის თაობაზე (იხ.რეკომენდაცია 4.1.1 (3))

4.1.1. (3) პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

ექსპერტთა რეკომენდაცია: ხარისხის მართვის სამსახური წარმოდგენილია ერთი პირით - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი. იმის გათვალისწინებით, რომ სამსახურის მენეჯერი თავის საქმიანობას წარმართავს ჰიბრიდულად, ძირითადად დისტანციურად და იგეგმება ადგილზე ვიზიტებიც, პროფესიულ სტუდენტთა ოდენობიდან (350 პროფესიული სტუდენტი) სწავლების სხვადასხვა ფორმატიდან (პირისპირ, დისტანციური, შერეული) გამომდინარე, რეკომენდებულია ხარისხის მართვის სტრუქტურულ ერთეულს დაემატოს თანამშრომელი, რომლის სამუშაო ადგილი იქნება სქილვილის იურიდიული მისამართი და რომელიც სისტემატურად შეძლებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები პირისპირ სასწავლო გარემოში ვერიფიკაციასაც.

კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს დაწესებულების მისია შემუშავებულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის ფარგლები და ის შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან. თავისი შინაარსით მისია ეხმიანება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, პირის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან, პს "სქილვილის" მისიაა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, ძირითად პროფილს კი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. დაწესებულება გეგმავს დანერგოს ინოვაციური მიდგომები, დაეხმაროს მომხმარებლებს შრომისა თუ განათლების ბაზარზე არსებული ბარიერების დაძლევაში. მისიაში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ინფორმაციული და საკომუნიკაციო მიმართულებით საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვაზე, არამედ აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე. ინტერვიუს მეშვეობით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უკვე 3 წელია ოპერირებს არაფორმალური განათლების ბაზარზე. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები 2032 წლისთვის შპს სქილვილის ხედვაა ავტონომიური საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე თითოეული მომხმარებლისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, სწავლა/სწავლების თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ, ისინი იცნობენ მას და ჩართული იყვნენ მისი შემუშავების პროცესში. სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ როგორ შიდა ასევე, გარე დაინტერესებული პირები. აღნიშნული დადასტურებულია მათთან ინტერვიუს გზით. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებიც განსაზღვრულია დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის, პროფესიული სტუდენტებისთვის, მსმენელებისთვის, ახალი თანამშრომლებისთვის დამსაქმებლებისთვის მისიისა და ხედვის გაზიარების გზები საშუალებები, რაც დაინერგება საქმიანობის დაწყების პროცესში.

პსდ-ს სტრატეგიული განვითარება პსდ გასაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას; სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს; დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა რეგულაციები: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმები“, „სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, მათ შორის, შეფასების გასაჩივრების მექანიზმები, „შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“, „შინაგანაწესი პროფესიული სტუდენტებისთვის“, „პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერის პოლიტიკა“, „პროფესიული

სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ , „შპს სქილვილის - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ასევე პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა“, რომელშიც გაწერილია ყველა ის მხარდამჭერი ღონისძიება, რომელსაც კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხები მათ უფლებებთან და მოვალეობებთან მიმართებით. გათვალისწინებულია სწავლის დაწყებამდე, ყოველი ახალი პროფესიულ სტუდენტების ჯგუფისთვის საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ორგანიზება. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, ამასთანავე პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ პროფესიულმა სტუდენტმა, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება, პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სქილვილის სტრუქტურით გათვალისწინებულია სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სტრუქტურული ერთეულის დებულებისა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ შესაბამისად. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ თანახმად, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია: „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა“, „შპს სქილვილის დებულება“, „შპს სქილვილის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები“. აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება იღებს ვალდებულებას გაუწიოს პროფესიულ სტუდენტებს მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, კოლეჯი ვალდებულია შექმნას პირობა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა გონივრულ ვადებში მიიღონ საჭირო ინფორმაცია კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისგან. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, შპს სქილვილი აქტიურად უწყობს ხელს არაფორმალური აქტივობების წახალისებას, რაც მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და სოციალური ჩართულობის გაძლიერებას. ასევე პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, შპს სქილვილის მიერ შემუშავებული რეგულაციების თანახმად პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ადმინისტრაციული, აკადემიური, კარიერული მხარდაჭერით და მხარდაჭერა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გონივრულ ვადებში. დაწესებულების დებულებით, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებითა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია შესაბამისი მოვალეობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის, სქილვილის სტრუქტურით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომლის ფუნქციებით გათვალისწინებულია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურების გაწევა სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი კარგი გამოცდილება მსმენელებთან მუშაობის თვალსაზრისით. ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ არსებული გამოცდილება დაინერგება პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებაშიც. სტუდენტებს მიეცემა შესაძლებლობა გაიარონ რბილი უნარების ტრენინგ - კურსი. ასევე, სამსახური განახორციელებს ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას კარიერული განვითარების მიმართულებით. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სტუდენტების მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ქმნის კოლეჯში დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის ფუნქცია- მოვალეობებითა და სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევების ჩატარება: მონაცემების შეგროვება კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერის განვითარების შესახებ, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა. კვლევები ჩატარდება დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმაღლებს მომსახურების ხარისხს... „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ რეგულაციის თანახმად, სქილვილი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და დასაქმების ბაზრის კვლევას. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევისთვის შესაბამისი კითხვარები. შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების, სასწავლო პროგრამების განვითარების და ზოგადად, სქილვილის სამომავლო ქმედითი ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით.

ადამიანური რესურსები

პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული დაწესებულებას ორგანიზაციული მოწყობის საკითხები რამდენიმე დოკუმენტით აქვს დარეგულირებული. მტკიცებულებებად წარმოდგენილია: ორგანიზაციის წესდება, შპს „სქილვილი“-ის დებულება, შპს სქილვილის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, შპს სქილვილის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ორგანოგრამის სახით წარმოდგენილი სტრუქტურა განთავსებულია ვებ. გვერდზე. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას როგორც პირველი ინდიკატორის ფარგლებში აღინიშნა, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება და პერსონალის სამუშაო აღწერილობა დაწესებულებას დარეგულირებული აქვს სამი დოკუმენტით: შპს „სქილვილი“-ის დებულება, შპს სქილვილის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, შპს სქილვილის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზით დადასტურებულია, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწორადაა გადანაწილებული, რამაც უნდა უზრუნველყოს

დაწესებულების ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობა. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს დაწესებულებაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის პრინციპზე. სტრუქტურით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეული - ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც ექვემდებარება დირექტორს. შპს სქილვილის დებულებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების თანახმად, ხარისხის მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი.

პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად შპს სქილვილში მართვის პროცესების ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებს წარმოადგენს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და შრომის შინაგანაწესი. დაწესებულების „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიზანია პერსონალის მართვის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს შპს „სქილვილ“-ის სტრატეგიული გეგმის მიზნების მისაღწევად მისი პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს კადრების მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების საკითხებს. კოლეჯი პერსონალის მოზიდვისა და მისი შენარჩუნების თვალსაზრისით მიმართავს შიდა და გარე წყაროებიდან ადამიანური რესურსების მოზიდვას: პერსონალის მოზიდვის შიდა წყაროა - კოლეჯში დასაქმებული პერსონალი; პერსონალის მოზიდვის გარე წყაროა - სოც. ქსელებში ან/და შესაბამის დასაქმების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული განცხადებები. პერსონალის მოზიდვა ასევე შესაძლებელია კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი კონტაქტების გამოყენებით და წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობით. პერსონალის შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის გზით, ასევე რეკომენდაციების საფუძველზე. პერსონალის ეფექტიანად გამოყენებას და ასევე პერსონალის მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას პერსონალისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია „შპს სქილვილის პერსონალის სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტით. ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია განათლების მინიმალური დონე ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები და დადასტურებულია მათი ორგანიზაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და დადგენილი პირობების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო გამოცდილების დოკუმენტი.

პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს დაწესებულების ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს - ურთიერთთანამშრომლობა: გუნდური მუშაობა და ღია კომუნიკაცია, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით ასევე განსაზღვრულია ორგანიზაციის მართვის პრინციპები: გადაწყვეტილებათა მიღებაში ჩართულობა, თანასწორობა, ღიაობა და ხელმისაწვდომობა; პასუხისმგებლობა, გუნდურობა, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთთანამშრომლობა, პიროვნების ღირსების აღიარება და შესრულებული სამუშაოს დაფასება; სამართლიანობა და გამჭვირვალობა. შესაბამისად, დაწესებულების სხვადასხვა მექანიზმებში გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ამოცანის გადასაჭრელად საქმიანობა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების

საჭიროებათა კვლევას შპს სქილვილის „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ ითვალისწინებს კომპანიის თანამშრომელთა საქმიანობის სისტემატურ შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით დაწესებულების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის განვითარება იგეგმება შემდეგ შემთხვევებში: პერსონალის განვითარებისათვის კოლეჯი ატარებს ინდივიდუალურ და ზოგად გამოკითხვებს პერსონალის საჭიროებების დასაიდენტიფიცირებლად. საჭიროების შემთხვევაში, ატარებს ტრენინგებს, აფინანსებს პერსონალის კონფერენციებზე დასწრებას. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის შეფასების პოლიტიკის ფარგლებში, ფასდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაო და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდება მომზადება-გადამზადება. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით დაწესებულების შინაგანაწესით გათვალისწინებულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც ცალსახად მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან შპს სქილვილში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესი სრულდება კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შრომის შინაგანაწესის მკაცრი შესაბამისობით. კოლეჯი ზრუნავს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან სწრაფ და ეფექტურ ადაპტაციაზე, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ ორგანიზაციული დოკუმენტაციის გაცნობასა და ხელმოწერას, არამედ თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემურ მიდგომას. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები პერსონალის მართვის პოლიტიკის მიხედვით, პერსონალის შენარჩუნებისა და წახალისების მიზნით, კოლეჯს აქვს შემდეგი სტრატეგია: თანამშრომლების განვითარებაზე მორგებული ინდივიდუალური გეგმა მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით; პიროვნული და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. ასევე, შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებულია, რომ კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია დაგეგმოს დამსაქმებელმა, მაგრამ ამავედროულად დასაქმებულსაც შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა საკუთარ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დაწესებულება შპს ჰაივ ბათუმთან (ს/ნ 405731365) 2025 წლის 28 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში, ავტორიზაციის ვადით, ფლობს ფართს ჯამურად - 1242,59 კვ.მ. საიჯარო ფართები მდებარეობს მისამართზე: ქალაქი ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა N129: საკადასტრო კოდზე: 05.26.01.020.04.02.004 - ფართი: 260.9 კვ.მ; საკადასტრო კოდზე: 05.26.01.020.04.02.003 - ფართი: 246.8 კვ.მ; საკადასტრო კოდზე: 05.26.01.020.04.02.501 - ფართი: 63.29 კვ.მ; საკადასტრო კოდზე: 05.26.01.020.02.02.007 - ფართი: 454.5 კვ.მ; საკადასტრო კოდზე: 05.26.01.020.02.02.007ა - ფართი: 217.1 კვ.მ. თვითშეფასების განაცხადით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შპს „ჰაივ მენეჯმენტი“ -სთან გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულება და შპს „ჰაივ ბათუმსა“ და „ჰაივ მენეჯმენტს“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ამონაწერები, რომლითაც ვერ დასტურდებოდა დაწესებულების მიერ ფართების ფლობა, რადგან იჯარისა და ქვეიჯარის ხელშეკრულებები არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ვიზიტის პირველივე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ჰაივ ბათუმთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება და ამონაწერები. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა აღნიშნული და მიიღო ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია შესაბამისი

ფართოთ, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ახალგაზრდობისთვის, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი“ და „პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი“. პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება, ამასთანავე პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს კომპანიაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. არსებული IT ინფრასტრუქტურა გამოყენებულია სასწავლო პროცესის წარმართვისა და ადმინისტრაციული პროცესებისათვის, ასევე პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას და პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი - კორესპონდენციის აღრიცხვის, ნუმერაციის მინიჭებისა და დაარქივების ერთიანი წესი. დოკუმენტების მიზანია კომპანიაში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა დოკუმენტაციის მომზადების, გაფორმების, გადამისამართების, აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვის წესის დანერგვა. კომპანიაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალურად და ელექტრონულად - საქმისწარმოების ელექტრონული ავტომატიზებული სისტემის (Eflow) საშუალებით. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. შპს სქილვილის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რომელსაც ადასტურებს კოლეჯის პროფესიული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი და კოლეჯის ბიუჯეტი. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით დაწესებულება გარდა გარდა ვაუჩერული დაფინანსებისა, იღებს დამატებით შემოსავალს სხვადასხვა მიმართულებიდან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია პროგრამისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოთი, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი აუცილებელი მატერიალური რესურსით. შპს ჰაივ ბათუმთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით სქილვილის უზრუნველყოფა. პროგრამის მატერიალური რესურსის ფლობასთან დაკავშირებით იჯარის ხელშეკრულებასთან ერთად, წარმოდგენილია შპს სქილვილსა და შპს ჰაივ ბათუმს შორის 2025 წლის 05 თებერვალს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, მატერიალური რესურსის ავტორიზაციის ვადით გადაცემის თაობაზე. გარდა ამისა, წარმოდგენილია დაწესებულების ბალანსზე რიცხული აღჭურვილობის ჩამონათვალი და მატერიალური რესურსის ნაწილთან დაკავშირებით - განხორციელებული შესყიდვების მტკიცებულებები. როგორც 2.1 კომპონენტის ნაწილში აღინიშნა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front – end დეველოპმენტი“ მოთხოვნილი კვოტის ოდენობა შეადგენს 350 პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულება გეგმავს სხვადასხვა ცვლებში სწავლება განხორციელოს ერთდროულად მაქსიმუმ 14 ჯგუფში (ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა ოდენობა - მაქსიმუმ 25 პროფესიული სტუდენტი). გათვალისწინებულია დისტანციური

სწავლების მიდგომაც. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების წესი, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. კოლეჯს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გააჩნია 6 კომპიუტერული სივრცე, მათ შორის, ერთი არის A/B გარემო, ოთახებში განთავსებულია თანამედროვე ლეპტოპები (თითოეულ სივრცეში - 25-25), ინტერაქციული სმარტ დაფები, რაც ხელს შეუწყობს ვიზუალური და ინტერაქციული სწავლების, მათ შორის დისტანციური მეთოდების ეფექტიან გამოყენებას; მიკროფონები და აუდიო სისტემები, რომლებიც აუმჯობესებენ კომუნიკაციის ხარისხს და უზრუნველყოფენ ხმის მკაფიო გადაცემას. სივრცეებში ასევე განთავსებულია 3D პრინტერები და 3D სკანერები (ჯამში 4 ცალი). პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ხოლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის პროფესიული მოდულების ყველა განმახორციელებელს უდასტურდება მინიმუმ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება და დარგის ექსპერტთან ინტერვიუთი დადასტურებულია მათი მაღალი კომპეტენცია. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა და სამუშაო აღწერილობა. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს დასაზუსტებელი შეკითხვით, რომელიც უკავშირდებოდა სტრატეგიულ დოკუმენტში მითითებულ რეკომენდაციას რბილი უნარების განვითარებისა და ინდივიდუალური მენტორინგის სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, საინტერესო იყო, როგორ შეიძლება ეს კომპონენტები გრძელვადიან მიზნებად გადაიზარდოს, როგორ უნდა მოხდეს მათი სტრატეგიულ დოკუმენტში მიზნებად ჩამოყალიბება და შესაბამისად, მათი შესრულების მონიტორინგი. თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რბილი უნარების განვითარება უმეტესად კონკრეტულ საგნებს უკავშირდება, თუმცა საჭიროა მათი სისტემური ინტეგრაცია და მონიტორინგის მექანიზმების გაწერა.

ექსპერტმა განმარტა, რომ მის მიერ გაცემული რეკომენდაცია მხოლოდ რბილ უნარებს არ ეხებოდა და მაგალითი გამოიყენეს კონკრეტული კომუნიკაციის დროს არსებული კონტექსტიდან. მისი თქმით, სტრატეგიის განხილვისას მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტი შედგენილია ავტორიზაციის სტანდარტებზე მორგებით და არა როგორც დაწესებულების სრული ხედვის გამომხატველი ტექსტი. ექსპერტის თქმით, თითქოს დაწესებულებამ ვერ გაბედა იმაზე მეტი ეთქვა საკუთარ მიზნებზე, ვიდრე უკვე ჰქონდა დაგეგმილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. რაც შეეხება რბილი უნარების მიმართულებას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ კუთხით უკვე აქვს კონკრეტული კურსები შემუშავებული და ასევე გააჩნია არაფორმალური განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება. თუმცა, სწორედ ეს გამოცდილება და საქმიანობა სტრატეგიულ დოკუმენტში არ იყო სრულად და მკაფიოდ ასახული. აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს ფართო ხედვა და პრაქტიკული მოქმედებები გადამზადებისა და მომზადების მიმართულებით, მაგრამ ეს არ აისახა დოკუმენტში საკმარისად ღიად და სისტემურად.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააზუსტა, როგორ შეიძლება ამგვარი მიზნები – მათ შორის რბილი უნარების განვითარება – სტრატეგიულად გრძელვადიან ამოცანებად განისაზღვროს და მოხდეს მათი მონიტორინგის შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება. მისი თქმით, მიზანი შესაძლოა არსებობდეს ხედვასა თუ მისიაში, თუმცა დოკუმენტში მათი გაწერა და შესრულების გზების მითითება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ექსპერტმა განმარტა, რომ სწორედ ეს განსხვავება – ხედვასა და სტრატეგიას შორის – იყო მისი შეფასების ერთ-ერთი მთავარი საკითხი. მისი თქმით, მისიის ტექსტში აშკარად იკითხება დაწესებულების სურვილი, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების პიროვნულ განვითარებას და განავითაროს მათი რბილი უნარები, რაც უფრო სისტემურად და გამოკვეთილად უნდა ყოფილიყო გადატანილი სტრატეგიაშიც. ექსპერტის შეფასებით, მსგავსი ამოცანების ჩამოყალიბება შესაძლებელია სტრატეგიის მიზნებად, ხოლო შემდგომ მათი ინტეგრირება – სამოქმედო გეგმებში, რაც უზრუნველყოფს როგორც გრძელვადიან განვითარებას, ისე პროგრესის მონიტორინგის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სქილვილის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს სქილვილს(ს/კ:406258730) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს სქილვილსმიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი1).

საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს წევრმა, გიორგი ვეკუამ.

მესამე საკითხი: სსიპ - კოლეჯის "მოდუსი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითააცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა გახარია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ კოლეჯის „მოდულის“ მიერ, ავტორიზაციის განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 4 აპრილის MES 7 25 0000375910 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2, 5, 6, 7 და 8 მაისს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სივრცეების დათვალიერება, როგორც რუსთავის, ასევე მარნეულის მისამართზე. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ორგანიზების და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, HR მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს, იურისტს, მარნეულის ფილიალის წარმომადგენლებს და კოლეჯში დასაქმებულ სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნაწილთან გასაუბრებას, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილებზე ექსპერტთა ვიზიტს როგორც რუსთავის ასევე მარნეულის მისამართებზე. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებების უმეტესი

ნაწილი გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის განმავლობაში, ხოლო შეჯამებული სახით - დასასრულს. ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი ტიპის რეკომენდაციები.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯ „მოდუსსა“ და კომპანია Knauf-ს შორის თანამშრომლობა მესამე წელია გრძელდება. პარტნიორობის ფარგლებში, თაბაშირ მუყაოს-კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, კომპანია Knauf-ის სასწავლო ბაზაზე თეორიული და პრაქტიკული სწავლება რამდენიმე თვის განმავლობაში უტარდებათ. ასევე აღსანიშნავია, რომ მასტერკლასები კოლეჯის სასწავლო ბაზაზეც ტარდება. კოლეჯსა და კომპანია Knauf-ს შორის თანამშრომლობა, ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ზრდას და პროფესიულ წახალისებას. მასტერკლასების პერიოდში პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირება და კვება სრულად დაფინანსებულია, როგორც კოლეჯის, ასევე, კომპანია კნაუფის მხრიდან.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

წარმოების ფარგლებში შესაბამისობის რეკომენდაციები გაცემულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით.

2.2.1 - დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტის“ ფარგლებში სრულყოფილად არ არის მოწყობილი კოლეჯის C კორპუსში მოდულისთვის „სპორტი“ გამოყოფილი აუდიტორია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედულება“ სრულყოფილად არ არის შეძენილი მატერიალური რესურსი.

შესწავლილი დოკუმენტებით და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ორივე პროგრამისთვის ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები განსაზღვრულ ვადაში.

5.1.1 - 1 რუსთავის მისამართზე მოწყობილია ახალი სამსართულიანი შენობა - C კორპუსი, რომლის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა კოლეჯს არ გააჩნია. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯს წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2025 წლის 5 თებერვლის NMES 2 25 0000110990 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გულისხმობს 2025 წლის ივლისისთვის, კოლეჯის დირექტორის პასუხისმგებლობის ქვეშ, ახალი შენობის უსაფრთხოების დოკუმენტის მიღების, საევაკუაციო გეგმაში ასახვისა და საჯარო რეესტრში დაფიქსირების უზრუნველყოფას.

შესწავლილი დოკუმენტებით და დათვალიერებით, ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები განსაზღვრულ ვადაში.

5.1.2 - 1 რუსთავის მისამართის C კორპუსთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც აღწერილია 5.1.1.1 ინდიკატორის ფარგლებში.

შესწავლილი დოკუმენტებით და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები განსაზღვრულ ვადაში.

5.1.2 - 3 რუსთავის მისამართზე არსებული ახლადამშენებული C კორპუსი არ არის შეტანილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც აღწერილია 5.1.1.1 ინდიკატორის ფარგლებში.

შესწავლილი დოკუმენტებით და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები განსაზღვრულ ვადაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1-ლი სტანდარტი

1.2.1 -1 ვინაიდან „სსიპ კოლეჯი მოდუსის სტრატეგიული დოკუმენტების - მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების - შექმნის მეთოდოლოგია“ იძლევა მხოლოდ ზოგად სურათს, თუ როგორ მიმდინარეობს დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს იმგვარი მეთოდოლოგიური დოკუმენტის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურულ საკითხებს - გეგმების შემუშავება, ცვლილება, მონიტორინგი, შეფასება და შემდგომი ნაბიჯები, ასევე პასუხისმგებელი პირები და ჩართული მხარეები, შემუშავების მეთოდები/მიდგომები, ფორმები და ვადები.

მე-2 სტანდარტი

საერთო რეკომენდაციები

2.1.1 – 2 დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები“ გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების უკანასკნელი ცვლილებები.

2.1.1 -3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებული მუხლები, ინფორმაციის დუბლირების/პერეფრაზირების არიდების მიზნით, კონსოლიდირდეს და გამოიკვეთოს გამოანგარიშების კრიტერიუმები და მიდგომები.

2.2.1 -7 დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების რენტაბელობის ზღვარის გაანგარიშება მოახდინოს იმგვარი პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების რომელიმე ეტაპზე, პროფესიული სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობის და რენტაბელობის ზღვარის ურთიერთგამომრიცხავი მონაცემების თავიდან აცილებას.

2.4.1 - 5 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კოოპერაციული ფორმის პროგრამებისთვის, გადახედოს პარტნიორ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი მემორანდუმისა

და ხელშეკრულების შინაარსს, განიხილოს მათი კონსოლიდირების შესაძლებლობა და შერჩეულ კომპანიასთან შემდგომი კომუნიკაციის მოქნილად წარმართვის საკითხი.

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით

2.1.1 – 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსს სასურველია დაემატოს დარგში არსებული ახალი ლიტერატურა.

2.1.1 - 4 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „Front-end დეველოპმენტი“ დარგობრივი მოდულების სასწავლო რესურსს დაემატოს ქართულენოვანი ლიტერატურა, აისახოს მოდულის შესაბამის ჩანაწერში და განთავსდეს ბიბლიოთეკაში. ასევე სასურველია დაწესებულებამ პროგრამის დანართად დამტკიცებული მატერიალური რესურსი მოიყვანოს შესაბამისობაში მის მიერ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის რეალურ ჩამონათვალთან.

2.4.1 - 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეზოსტნეობა“ პროფესიული სტუდენტების გამოკვეთილი საჭიროებების, კერძოდ ქართული ენის ფლობის დაბალი დონის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, მეტი თვალსაჩინოებისთვის უზრუნველყოს დამატებითი მასალის შემუშავება და სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენება.

2.1.1 - 8 საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „თმის მომსახურება“ სასურველია დაწესებულებამ შესაბამისი მოდულის თემატიკაში, დამატებით შეიტანოს პირადი/პერსონალური ინფორმაციის დაცვის საკითხები, ვინაიდან დარგი ეკუთვნის პერსონალურ მომსახურებას და სამუშაო ადგილებზე კურსდამთავრებულებს მოუწევთ პერსონალური მონაცემის კონფედენციალურად დაცვის უზრუნველყოფა.

2.4.1 - 1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ავტოსატრანსპორტო საშუალებების დეზა“ კალენდარული გეგმების შემოწმების შედეგად, ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულებამ უზრუნველყოს კალენდარული გეგმის ფორმის გადახედვა/ფორმის შესაბამისად ინფორმაციის სრულად შეტანა.

2.2.1 -2 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ავტომობილის ძრავის შეკეთება“ მოდულისთვის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ პროფესიული მოდულებისა და დარგობრივი ინგლისური ენის განმახორციელებლების იმგვარ კოლაბორაციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაუმჯობესებას.

2.4.1 - 1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ავტომობილის ძრავის შეკეთება“ კალენდარული გეგმების შემოწმების შედეგად, ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულებამ უზრუნველყოს კალენდარული გეგმის ფორმის გადახედვა/ფორმის შესაბამისად ინფორმაციის სრულად შეტანა.

2.2.1 -2 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოდულისთვის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ პროფესიული მოდულებისა და დარგობრივი ინგლისური ენის განმახორციელებლების იმგვარ

კოლაბორაციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაუმჯობესებას.

2.4.1 – 1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ კალენდარული გეგმების შემოწმების შედეგად, ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულებამ უზრუნველყოს კალენდარული გეგმის ფორმის გადახედვა/ფორმის შესაბამისად ინფორმაციის სრულად შეტანა.

2.2.1 -2 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ მოდულისთვის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ პროფესიული მოდულებისა და დარგობრივი ინგლისური ენის განმახორციელებლების იმგვარ კოლაბორაციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაუმჯობესებას.

მე-4 სტანდარტი

4.1.1 - 1 ინდიკატორი - სამუშაო აღწერილობების დოკუმენტის გაცნობისა და თანამშრომლებთან გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, გადაიხედოს და დაკორექტირდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები პოზიციებზე დასანიშნად განსაზღვრული აუცილებელი და სასურველი მოთხოვნების, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები - პოზიციებზე დანიშნულ პირებზე პრაქტიკაში დაკისრებული სამუშაოების მიხედვით.

4.1.1 - 3 დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია განიხილოს „სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტის“ პოზიციის დასახელების ცვლილება. ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტისა და მარნეულის მენეჯერის სამუშაო აღწერილობები გადაიხედოს ჩანაწერებში მათი სასწავლო პროცესში მონაწილეობის ფორმის დაზუსტების/გამორიცხვის მიზნით.

4.1.2 - 1 ვინაიდან ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის დოკუმენტი არსებითად მოიცავს ვაკანსიის და ახალი პოზიციის გაჩენის შემთხვევაში კოლეჯის მიერ განსახორციელებელ პროცედურებს, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადამუშაოს აღნიშნული რეგულაცია და განავრცოს დოკუმენტის მიზნისა და გავრცელების არის შესაბამისად.

4.1.2 - 2 ვიზიტის ფარგლებში პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად, ექსპერტების ჯგუფი იძლევა განმავითარებელი რეკომენდაციას, დაწესებულებამ განსაზღვროს პირადი საქმის კომპლექტაციის მიდგომები და მოაწესრიგოს დოკუმენტაცია ქრონოლოგიის ან/და მიკვლევადობის სხვა პრინციპების მიხედვით.

4.2.1 -1 ვინაიდან პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევასთან დაკავშირებული ჩანაწერები არ იძებნება კოლეჯის შიდა რეგულაციებში, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შეიმუშაოს პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.

4.2.1 - 4 ვინაიდან თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხები არ იძებნება კოლეჯის შიდა დოკუმენტებში, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია,

დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, საკითხთან დაკავშირებულ რეგულაციაში აღწეროს შესაბამისი პროცესები და ასახოს დაკისრებული ფუნქცია პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობაში.

4.2.1 - 5 საკითხთან დაკავშირებული ჩანაწერების არარსებობიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, შესაბამის რეგულაციაში აღწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაყენების ფორმები და წახალისების მექანიზმები, განისაზღვროს ინიციატივების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირები.

მე-5 სტანდარტი

5.2.1 – 3 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია განაგრძოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან კომუნიკაცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის თაობაზე ინფორმაციის დადასტურების/სამსახურის ვებ გვერდზე ასახვის მიზნით.

5.2.2 - 1 თვითშეფასების განაცხადზე თანდართული და ვიზიტის ფარგლებში მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, უზრუნველყოს საქმისწარმოების ერთიანი მიდგომით, დოკუმენტების წარმოების ფორმის (მატერიალური ან/და ელექტრონული) და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მათი გაფორმების (დანართებზე რეკვიზიტების დატანა), შენახვის ვადების, დაარქივებისა და განადგურების წესის განსაზღვრა, ასევე შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი ვადების დაცვა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2025 წლის 9 ივნისს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში მომზადებული წერილი, რომლის თანხმადაც კოლეჯი იზიარებს ექსპერტების პოზიციას, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი შესრულებულია და ასევე გარკვეული ქმედებები განხორციელებულია განმავითარებელი რეკომენდაციების მიმართულებით. ვინაიდან მტკიცებულებები გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე არ არის წარმოდგენილი, ექსპერტების ანალიზი და შეფასება რჩება უცვლელი.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის სარგებლობაშია 25000კვ.მ ფართობი და მასზე არსებული N1 და N2 სასწავლო კორპუსები, საერთო ფართობი - 4434.54 კვ.მ.; N4 სასწავლო სახელოსნო საერთო ფართობი -2375,85 კვ.მ.; N5 ავტოფარეხი სასარგებლო ფართობი – 244,19 კვ.მ; საქვაბე სასარგებლო ფართობი – 72 კვ.მ. და არასასოფლო სამეურნეო ფართი - 17873, 42 კვ.მ. ზემოაღნიშნულ ფართზე მოწყობილია:

ა) A, B და C ტიპის აუდიტორიები/სასწავლო სახელოსნოები, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია;

ბ) ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის სამუშაო სივრცე - სამასწავლებლო;

გ) საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/სამკითხველო, FAB LAB, პროფესიული სტუდენტებისათვის სარეკრეაციო სივრცე;

დ) სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;

ე) სასაწყობო ფართი.

მისამართზე - მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება, სახელმწიფო საკუთრებაში და დაწესებულების სარგებლობაშია არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული

ფართობი 9022.00, მასზე განთავსებული შენობა ნაგებობებით (N1, N2, N3) მოსარგებლის არსებობის ვადით. მარნეულის

მისამართზე მოწყობილია:

ა) A, B და C ტიპის აუდიტორიები/სასწავლო სახელოსნოები;

ბ) ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის სამუშაო სივრცე - სამასწავლებლო;

გ) საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/სამკითხველო, პროფესიული სტუდენტებისათვის სარეკრეაციო სივრცე;

დ) სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;

ე) სასაწყობე ფართი.

ასევე მოწყობილია სპორტული მოედანი; განაშენიანება; გამწვანება; საზაფხულო ფართი; სათბური -240 კვ.მ; საბავშვო ოთახი; ვერანდა. რუსთავის მისამართის A კორპუსში გამოყოფილია ოთახი არქივისთვის. ორივე მისამართზე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის სასწავლო, სამუშაო და საერთო სივრცეები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით. ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და ჯგუფში რიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. მატერიალური ფასეულობების მართვის მექანიზმები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის NMES 8 25 0000198783 ბრძანებით დამტკიცებულ „მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის და გაცემის წესში“. დოკუმენტში მოცემულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერზე დაკისრებული პასუხისმგებლობები (რომელიც შესაბამისობაშია მის ფუნქცია-მოვალეობებთან), განმარტებულია მატერიალური ფასეულობების სახეები და აღწერილია მათი განკარგვის - მიღება-გაცემის, გადაადგილების, მოვლა-პატრონობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების პროცედურები. დანართის სახით დამტკიცებულია საწყობიდან მატერიალურ ფასეულობათა გაცემის ფორმა. ასევე დოკუმენტი ადგენს საერთო სარგებლობაში არსებული ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების მონიტორინგის ვალდებულებას, განსაზღვრულია ყოველი წლის დასასრულს საინვენტარო კომისიის მიერ კოლეჯის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ მდგომარეობის და მისი სასარგებლო მომსახურების ვადასთან მიმართებაში შემოწმების აუცილებლობა.

დაწესებულებამ მოთხოვნისამებრ წარმოადგინა და ექსპერტები გაეცნენ მატერიალური ფასეულობის საწყობში მიღების, აღრიცხვის, საწყობიდან მოთხოვნის და საწყობიდან გაცემის დოკუმენტებს. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციას (ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის ბრძანება; ოქმები; შედეგები). აღსანიშნავია, რომ ძირითადი ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ქ. რუსთავში და მარნეულის მისამართიდან მოთხოვნილი მატერიალური ფასეულობების მიწოდება ხდება რუსთავის მისამართზე მდებარე საწყობიდან. „სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-13 მუხლი ადგენს, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, გამოიყენოს ბიბლიოთეკა სასწავლო მიზნებისთვის, ისარგებლოს სტუდენტებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული საინფორმაციო ქსელით, ასევე პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსის არ ქონის შემთხვევაში, დირექციასთან შეთანხმებით, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად. ორივე მისამართზე კოლეჯში მოწყობილია სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, სამუშაო და სასწავლო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე და შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით. ადმინისტრაცია, განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ სამუშაო აღწერილობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რაც იძლევა ადმინისტრაციული და

საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. კოლეჯი დაფარულია უკაბელო და კაბელიანი ინტერნეტით. კოლეჯში დამტკიცებულია და დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. რეგულაციის თანახმად, კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა მექანიზმის დოკუმენტის გაცნობას კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ელექტრონულ ბაზაში სტუდენტის/მშობლების/თანამშრომლების (evet.emis.ge) მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება განსაზღვრული აქვთ კოლეჯის დირექტორს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს და IT მენეჯერს. ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის 30 დეკემბრის წლიური ანგარიშის მიხედვით, ხარისხის სამსახურის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა ადასტურებს, რომ „იცნობს მათ უფლება-მოვალეობებს, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე; ინფორმირებულები არიან, თუ როგორ იქნება კოლეჯის მხრიდან დაცული მათი პერსონალური მონაცემები და ადასტურებენ, რომ დასაქმების მიზნებიდან გამომდინარე, კოლეჯისთვის მიცემული აქვს თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების გაზიარების თაობაზე“. კოლეჯის ძირითადი შემოსავლის წყაროა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულების დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოლეჯის საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში მითითებულია სხვადასხვა აქტივობისთვის დაფინანსების წყარო. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსურ ანგარიშს და წარუდგენს შესაბამის უწყებას. კოლეჯი ყოველწლიურად განიხილავს ფაქტობრივ დანახარჯებს და ითვალისწინებს მომდევნო წლის ბიუჯეტირების პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და მე-8 „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება“ მუხლები აღწერს კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოს და მათი გამოყენების თავისებურებებს. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის, საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსის, სასწავლო გარემოს ტიპისა და ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯმა წამოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტები, ასევე აუდიტორიების გამტარიანობის დოკუმენტი, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების ნომრებისა და ფართობის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ მარნეულის მისამართზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ

ოდენობად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30, ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე). სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განსახორციელებლად კოლეჯს აქვს განსაზღვრული A და B გარემო, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით (მათ შორის კ არადა რესურსებისათვის, მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი ნამუშევრები) 15 პროფესიულ სტუდენტზე - A გარემო - I სართული, N104 აუდიტორია; A გარემო - II სართული, N204 აუდიტორია; B გარემო - II სართული, N201 აუდიტორია. კოლეჯის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის პარტნიორი კომპანიის ბაზაზე განხორციელებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“, რისთვისაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)“ (16.04.2021წ.), რომლის საფუძველზეც პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია იღებს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, პრაქტიკული მომსახურება გაუწიონ მის დაქვემდებარებაში შემავალ N1 და N3 ბაგა-ბაღებში, რომლებშიც ჯამში აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი 19 ჯგუფია - N1 ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია 12 ჯგუფით, ხოლო N3 ბაგა-ბაღში განთავსებულია 7 ასაკობრივი ჯგუფი. შესაბამისად, აღნიშნული დაწესებულებები შეძლებენ კოლეჯის 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მე-6 მუხლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი იყენებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახორციელებს მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის 30 დეკემბრის წლიური ანგარიშის მიხედვით, ხარისხის სამსახურის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 93.5% უზრუნველყოფს სწავლების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვას და საჭიროების

შემთხვევაში ატარებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს; 97.5% ოპერატიულად აწვდის მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებს. გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 98.1% მიიჩნევს, რომ კოლეჯის სასწავლო გარემო უსაფრთხოა ყველა (მათ შორის სსსმ/შშმ) სტუდენტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“

ექსპერტის განცხადებით, როფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდულში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და მე-8 „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება“ მუხლები აღწერს კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოს და მათი გამოყენების თავისებურებებს. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის, საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსის, სასწავლო გარემოს ტიპისა და ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯმა წამოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტები, ასევე აუდიტორიების გამტარიანობის დოკუმენტი, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების ნომრებისა და ფართობის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ მარნეულის მისამართზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30, ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი ფარავს სწავლის შედეგების თემატიკას. დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A/B გარემოები, რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის შენობის მეორე სართულზე ოთახი N 208 -ფართით 43 კვ.მ და B გარემოს მოდულისთვის „ინფორმაციული წიგნიერება 2“, რომელიც განთავსებულია მეორე სართულზე. ოთახი N201- 67კვ.მ. A/B/ გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 15 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) (ორ ცვლაში 30), ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. კომპიუტერებში ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამა (ORIS). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 ზოგადი მოდულების, 3 ქართული ენის მოდულების, ხოლო 3 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც

გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებ. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, ასევე კატალოგთან ერთად განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები, რომლითაც ბიბლიოთეკარის განმარტებით, სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები. კოლეჯი უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რასაც ხელს უწყობს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“ რაოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის, საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსის, სასწავლო გარემოს ტიპისა და ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯმა წამოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტები, ასევე აუდიტორიების გამტარიანობის დოკუმენტი, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების ნომრებისა და ფართობის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, მარნეულის მისამართზე, მისამართზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30, ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო

სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 46 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 75 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 56 სასწავლო კვირა). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 30 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია N101 - აუდიტორია, სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება, 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 15 კომპიუტერი, კარადა სადაც განთავსებულია დარგობრივი მოდულისთვის საჭირო აღჭურვილობა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, ასევე კატალოგთან ერთად განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები, რომლითაც ბიბლიოთეკარის განმარტებით, სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისათვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში. ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის 30 დეკემბრის წლიური ანგარიშის მიხედვით, ხარისხის სამსახურის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 93.5% უზრუნველყოფს სწავლების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ატარებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს; 97.5% ოპერატიულად აწვდის მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებს. გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 98.1% მიიჩნევს, რომ კოლეჯის სასწავლო გარემო უსაფრთხოა ყველა (მათ შორის სსსმ/შშმ) სტუდენტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4)

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და მე-8 „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება“ მუხლები აღწერს კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოს და მათი გამოყენების თავისებურებებს. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის, საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსის, სასწავლო გარემოს ტიპისა და ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯმა წამოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტები, ასევე აუდიტორიების გამტარიანობის დოკუმენტი, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების ნომრებისა და ფართობის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, რუსთავის მისამართზე, მისამართზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30, ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 30 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია N302 - აუდიტორია, სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება, 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 15 კომპიუტერი, კარადა სადაც განთავსებულია დარგობრივი მოდულისთვის საჭირო აღჭურვილობა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 ზოგადი მოდულების, 1 ქართული ენის მოდულების, ხოლო 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ჯგუფების რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმის (სადაც საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს) გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. იტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, ასევე კატალოგთან ერთად განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები, რომლითაც ბიბლიოთეკარის განმარტებით, სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები. ამასთანავე კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები (პროგრამის გაუქმება, მობილობა).

სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი

უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისათვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში. ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის 30 დეკემბრის წლიური ანგარიშის მიხედვით, ხარისხის სამსახურის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 93.5% უზრუნველყოფს სწავლების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ატარებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს; 97.5% ოპერატიულად აწვდის მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებს. გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 98.1% მიიჩნევს, რომ კოლეჯის სასწავლო გარემო უსაფრთხოა ყველა (მათ შორის სსსმ/შშმ) სტუდენტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - (Front-end დეველოპმენტი)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და მე-8 „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება“ მუხლები აღწერს კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოს და მათი გამოყენების თავისებურებებს. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის, საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსის, სასწავლო გარემოს ტიპისა და ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯმა წამოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტები, ასევე დიტორიების გამტარიანობის დოკუმენტი, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების ნომრებისა და ფართობის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი“, რუსთავის მისამართზე, მისამართზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30, ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „Front-end დეველოპმენტი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიიღწევა დაგეგმილია კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 30 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი აუდიტორია, დარგობრივი მოდულები განხორციელდება A კორპუსში, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი ორი მონიტორით, ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება, 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 15 კომპიუტერი, 2-2 მონიტორით; N202 აუდიტორია, ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგია“, სადაც განთავსებულია ინტეგრირებული მოდულისათვის შესაბამისი აღჭურვილობა, მათ შორის გამწოვი და წლის ნიჟარა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ვინაიდან სრულყოფილად არ არის მოწყობილი კოლეჯის C კორპუსში მოდულისთვის „სპორტი“ გამოყოფილი აუდიტორია. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ

განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, ასევე კატალოგთან ერთად განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები, რომლითაც ბიბლიოთეკარის განმარტებით, სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რასაც ხელს უწყობს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მეზოსტნეობა

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეზოსტნეობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის „სოფლის მეურნეობა“ საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორი დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მეზოსტნეობა“ განხორციელებას უზრუნველყოფს: ა) დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსი, თეორიული სწავლების აუდიტორიები 15 პროფესიული სტუდენტისთვის; ბ) 240 კვ.მ. სათბური კოლეჯის ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება პროგრამის პრაქტიკული ნაწილი; გ) პროგრამა არის კოოპერაციული სწავლების, შესაბამისად პრაქტიკული კომპონენტისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პარტნიორ კომპანიებთან: შპს მარნეული აგრო, ინდ. მეწარმე: ნ. ბ.; ფიზიკური პირი დ. ჩ. და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. დაწესებულების დირექტორის (2019 წლის 05 აპრილის N82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით) დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-4, მე-6, მე-7, ასევე 29-ე მუხლებში აღწერილია პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების სხვადასხვა შემთხვევები, ხოლო 30-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის (სსსმ პირებისთვის), პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსადგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას და პროფესიული სტუდენტისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). რეგულაცია ადგენს პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილებას მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეზოსტნეობა“ საჭირო უსაფრთხოების დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფილია სასწავლო გარემო. ზოგადი

უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისათვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში. ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის 30 დეკემბრის წლიური ანგარიშის მიხედვით, ხარისხის სამსახურის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 93.5% უზრუნველყოფს სწავლების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ატარებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს; 97.5% ოპერატიულად აწვდის მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებს. გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 98.1% მიიჩნევს, რომ კოლეჯის სასწავლო გარემო უსაფრთხოა ყველა (მათ შორის სსსმ/შშმ) სტუდენტისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი

ექსპერტის განცხადებით, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და მე-8 „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება“ მუხლები აღწერს კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოს და მათი გამოყენების თავისებურებებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 58 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 42 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 73 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 52 სასწავლო თვე). სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს. როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე

„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 9 ზოგადი მოდულების, 1 ქართული ენის მოდულების, ხოლო 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ჯგუფების რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმის (სადაც საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს) გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო უსაფრთხოების დაცვის საშუალებებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შედულება“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედულება“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობებით“. ოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და მე-8 „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება“ მუხლები აღწერს კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოს და მათი გამოყენების თავისებურებებს. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის, საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსის, სასწავლო გარემოს ტიპისა და ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯმა წამოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტები, ასევე აუდიტორიების გამტარიანობის დოკუმენტი, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების ნომრებისა და ფართობის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედულება“ რუსთავის მისამართზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილია 30, ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის „შედულება - 07.11.1“ საფუძველზე.

დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 87 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 68 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 117 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 88 სასწავლო კვირა). სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის „შედულება“ გამოყოფილია A/C სასწავლო გარემო, რომელიც განთავსებულია B კორპუსში, სახელოსნოს ფართი შეადგენს 129 კვ.მ-ს; გარემოში განთავსებულია 6 შედულების აპარატი, 15 პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე A კორპუსში გამოყოფილია B გარემო - N207 აუდიტორია. გარემო აღჭურვილია კომპიუტერებით 15 პროფესიული სტუდენტისთვის ერთ ცვლაში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო უსაფრთხოების დაცვის საშუალებებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კულინარიის ხელოვნება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პროგრამის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევს კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ჯგუფის წევრები შეირჩევა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. ოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის MES 9 25 0000037601 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და მე-8 „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება“ მუხლები აღწერს კოლეჯის A, B და C სასწავლო გარემოს და მათი გამოყენების თავისებურებებს. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის, საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსის, სასწავლო გარემოს ტიპისა და ოდენობის

